

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის

ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №60 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 24 186,8 ათ.ლარით.

2019 წლის I კვარტლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 2 ცვლილება:

I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებით ცვლილება შევიდა სოციალური პროგრამებიდან დახმარებების გაცემის წესში. დამტკიცებული ბიუჯეტი არ გაზრდილა.

I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის №8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 2018 წლიდან გარდამავალი ნაშთებით და საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებით:

გაიზარდ სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **16 154 702,43 ლარით:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა **7 409 887,7 ლარი**. მათ შორის:

1. საკუთარი ნაშთი - **5 021 666,80 ლარი;**
2. ევროკავშირის გრანტის ნაშთი - **41295,79 ლარი;**
3. მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი - **20 454,78 ლარი;**
4. საქართველოს მთავრობის #1993 განკარგულება (29.10.2018 წ.) – **263 086,77 ლარი;**
5. საქართველოს მთავრობის #957 (03.05.2018 წ) განკარგულება (სტიქია) – **1 051 755,14 ლარი;**
6. საქართველოს მთავრობის #2168 (09.11.2018 წ) განკარგულება (სტიქია) – **459 695, 28 ლარი;**
7. საქართველოს მთავრობის #1525 (21.07.2017 წ) განკარგულება (სტიქია) – **158 717,71 ლარი;**
8. საქართველოს მთავრობის #840 (19.04.2018 წ.) განკარგულება (სტიქია) – **41 440,95 ლარი;**
9. საქართველოს მთავრობის #265 (19.02.2016 წ.) განკარგულება (სოფლის პროექტები) – **5 096,93 ლარი;**
10. საქართველოს მთავრობის #136 (18.01.2018 წ.) განკარგულება (რეგიონალური პროექტები) – **346 677,55 ლარი;**

11. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის #6 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **6 480 000** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **6 480 000** ლარი;

12. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის #208 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის #45 განკარგულებაში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 074 000** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1 074 000** ლარი;

13. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის #207 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულებაში „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 190 814,73** ლარი. მათ შორის:

- საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის - **1 010 000** ლარი;

- საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით - **180 814,73** ლარი;

2019 წლის I კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2019 წლის ბიუჯეტი 1 აპრილის მდგომარეობით განისაზღვრა **40 341,5** ათ.ლარით:

- 1) გადასახადები - 7000,0 ათ.ლარი
- 2) ტრანსფერი (დღგ-ს სახით) – 22 311,6 ათ.ლარი
- 3) სხვა შემოსავლები - 3370,0 ათ.ლარი
- 4) არაფინანსური აქტივების კლება - 250,0 ათ.ლარი
- 5) შემოსავალი ნაშთიდან - 7 409,9ათ.ლარი.

შემოსულობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობებმა 2018 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 4 388,2 ათ. ლარი, წლიური გეგმის 13,32 %-ი (წლიური დაზუსტებული გეგმა 32 931,6 ათ.ლარი, (იხ.დანართი #2)

შედარებისთვის წინა წლის I კვარტლის შემოსულობებმა 2017 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 3581,4 ათ. ლარი, წლიური გეგმის 15,81 %-ი (წლიური დაზუსტებული გეგმა 22 643,2 ათ.ლარი.

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 6,46 %-ით (გეგმა 10 620,0 ათ.ლარი, შესრულება 686,7 ათ.ლარი), მათ შორის:

წინა წლის ანალოგიური პერიოდის გეგმა შესრულდა 13,16 %-ით (გეგმა 9065,0 ათ.ლარი, შესრულება 1192,9 ათ.ლარი), მათ შორის:

- ქონების გასახადის გეგმა 1,18 %-ით (წლიური გეგმა 7000,0 ათ.ლარი შესრულება 82,8 ათ.ლარი) ; შედარებისთვის წინა წლის ქონების გასახადის გეგმა 1,59 %-ით (წლიური გეგმა 5000,0 ათ.ლარი შესრულება 79,5 ათ.ლარი) ;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 7,8 %-ით (წლიური გეგმა 600,0 ათ.ლარი, შესრულება 46,8 ათ.ლარი); წინა წელს გეგმა შესრულებულია 72,19 %-ით (წლიური გეგმა 520,0 ათ.ლარი, შესრულება 375,4 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 14,3 %-ით(წლიური გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 14,3 ათ.ლარი); წინა წელს გეგმა შესრულდა 34,72 %-ით(წლიური გეგმა 55,0 ათ.ლარი, შესრულება 19,1 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 29,3 %-ით (გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 29,3 ათ.ლარი); წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გეგმა შესრულდა 12,0 %-ით (გეგმა 110,0 ათ.ლარი, შესრულება 13,2 ათ.ლარი);
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 3 %-ით (გეგმა 1000,0 ათ.ლარი, შესრულება 30,0 ათ.ლარი), წინა წელს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი შესრულდა 47,66 %-ით (გეგმა 600,0 ათ.ლარი, შესრულება 286,0 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 22,8 %-ით (გეგმა 200,0 ათ.ლარი შესრულება 45,6 ათ.ლარი); წინა წელს მოსაკრებელმა ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 22,73 %-ი (გეგმა 150,0 ათ.ლარი შესრულება 34,1 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 29,54 %-ით (წლიური გეგმა 1000,0 ათ.ლარი, შესრულება 295,4 ათ.ლარი); წინა წელს შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან შესრულდა 18,01 %-ით (წლიური გეგმა 900,0 ათ.ლარი, შესრულება 162,1 ათ.ლარი);
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 9,74 %-ით (წლიური გეგმა 350,0 ათ.ლარი, შესრულება 34,1 ათ.ლარი); წინა წელს შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები შესრულდა 35,92 %-ით (წლიური გეგმა 120,0 ათ.ლარი, შესრულება 43,1 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 41,92 %-ით (წლიური გეგმა 250,0 ათ.ლარი, შესრულება 104,8 ათ.ლარი); წინა წლის ანალოგიურ პერიოდში არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან გეგმა შესრულდა 19,72 %-ით (წლიური გეგმა 250,0 ათ.ლარი, შესრულება 49,3 ათ.ლარი);

2019 წლის I კვარტლის მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 3701,5 ათ.ლარი, მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი (დღგ-ს სახით) – 2 926,8 ათ.ლარი ;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 63,3 ათ.ლარი ;
- გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 339,9 ათ.ლარი;
- დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 371,5 ათ.ლარი;

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა დაზუსტების შემდეგ შეადგენს 40341,5 ათ.ლარს (იხ.დანართი №3). ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2019 წლის I კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 6919,9 ათ. ლარი წლიური გეგმის 17,2%. წინა წელს I-ლი კვარტლის გეგმა შესრულდა 15,28 %, მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 1105,4 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 5380,0 ათ.ლარი) 20,54 %; 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 963,4 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 4828,3 ათ.ლარი) 19,95 %;
- ქვეყნის დავდაცვისუნარიანობის ამალგების დაფინანსებამ შეადგინა 34,1 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 143,0 ათ.ლარი) 23,8 %; წინა წელს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალგების დაფინანსებამ შეადგინა 35,4 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 148,0 ათ.ლარი) 23,92 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 3117,5 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 23019,0 ათ.ლარი) 13,5 % ; 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 1344,9 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 13400,1 ათ.ლარი) 10,0 % ;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1149,5 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 5653,9 ათ.ლარი) 20,3 %; შედარებისთვის 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 759,0 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 3500,0 ათ.ლარი) 21,68 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1096,3 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4253,2 ათ.ლარი) 25,8 %; 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 719,0 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 3308,0 ათ.ლარი) 21,74 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 417,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 1892,4 ათ.ლარი) 22,04 %; 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 252,8 ათ.ლარი, წლიური გეგმის 17,25 %;

2019 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის I კვარტლის ხარჯებმა შეადგინა 82,6 ათ.ლარი (დანართი #4)

2018 წლის ამავე პერიოდში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის I კვარტლის ხარჯებმა შეადგინა 66,84 ათ.ლარი.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
უფროსი:

/გ.მამაკაიშვილი/